წ. I 1915 წ.

კვირა 12 აპრილი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე ... ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 55 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 55


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

8 აპრილს სოფ. ზოვრეთში (შორაპ. მაზრ.) მძიმე და ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლკოვნიკი

### ივანე ქაიხოსროს ძე ქავთარაძე,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები მიცვალებულისა: პავლე, პეტრე, სერგია, მარიამი, ნატალია, ელისაბედი, რძლები: ემილია ვლადიმერის ასული ანნა ილარიონის ასული ქავთარაძეები. და სიძე თავადი იასონ ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე თავისი ასულით სოფიოთი. დასაფლავება კვირას, 12 აპრილს, განსაკუთრებითი დაპატიჟება არ იქნება.

3—3—157.

10 აპრილს ქ. ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის მერვე კლასის მოწაფე

### შუშანიკა იმნაიშვილი,

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს დედა ბაბილინე, დები და ძმები მარო, ელისაბედ, ეპიფანე, ალექსანდრე, ნიკიფორე, მოსე და დათიკო ბესარიონ იონის ასულნი და ძენი, ბიცოლა მაკა, ბიძა ნიკო ოქროპირის ძე, და ბიძაშვილები სიმონ და არონ მარკოზის ძენი იმნაიშვილები. ცხედრის გასვენება გურიაში (ლანჩხუთში) 12 აპრილს, საღამოს 6 საათზე, აბესაძის სახლიდან, კარლოვსკის დაღმართზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1—161

ორჯერ ზედიზედ ახალი პიესა.

ქუთაისის თეატრი

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 11 და კვირას, 12 აპრილს, წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა სობოლჩიკოვ-სამარინისა

## იუდა ისკარიოტელი

(იუდას მემკვიდრე)

5 მოქ. თარგ. კონსტან-ანდრონისა.

ეს პიესა დაიდგა რუსეთის საუკეთესო თეატრებში და ჩვენის ამხანაგობას იხატება დეკორაციების ნაწილი და იკერება ტანისამოსი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი და თანამშრომლები.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

ანონსი: მზად. წარმოსადგ. ხუთშაბათს, 16 აპრილს ბენეფისი დასის რწმუნებულის და ადმინისრატორის ვასო ურუშაძისა.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

## „ძმათა პასხალიდის" აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;

ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი.

პარასკევს, 10 აპრილიდან, მარტო სამ დღეს ახალი პროგრამით ნაჩვენები იქნება:

### პატე ჟურნალი

უკანასკნელი ცნობა.

სენსაცია! სენსაცია!

### არსებობა არსებობისთვის.

გულის მომწველი დრამა 3 ნაწილათ. უმთავრეს როლს შეასრულებს ქუთაისის საზოგ. მიერ პატივცემული და საყვარელი მსახიობი ჟენია პორტენი.

### სიყვარულისთვის დასჯა

ძლიერ კომიკური სურათია.

დასაწყისი საღამოს $6^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია

ანონსი: ორშაბათიდან ნაჩვენები იქნება: 2 სერია საშკა სემინარისტი. დრამა 5 ნაწილათ.

დაიბეჭდა და იყიდება ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

## „НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

## გაფრთხილება.

### ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც ხ. ხრისტოდულიდის მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი", აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი", შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი" რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის" და ს/ს გოკიელოვის შ—ბის", აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოვლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

### თესლის გაყიდვა გძელდება.

## განცხადება.

ვისაც სურს შეიძინოს კარგი ღირსებისა და გემრი აბრეშუმის თესლი უნდა მიმართოს ნიკოლოზ ბურასს მთელს სპარსეთში, კავკასიასა და თურქესტანში ცნობილ ფირმას. თესლი შემოწმებულია მიკროსკოპიული საშუალებით „პასტერის" სისტემით და წონით 6 მისხ. თითოეული კოლოფი.

ვიმედოვნებ, რომ ბ.ბ. მყიდველები დარჩებიან სრული კმაყოფილი, თუ უკეთუ შეიძენენ ამ ფირმის თესლს.

ფასები ზომიერია.

იყიდება ნარდათ და ნაწილათაც. მისამართი: მიხეილის ქუჩა

მმ. ადამიძის მაღაზიაში, ქუთაისში.

პატივისცემით ნიკოლოზ ბურასი.

10—5—149.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

## ქუთაისი, 12 აპრილი.

ისე გაზეთს არ გადაშლით, რომ არ ამოიკითხოთ საყვედური ინტელიგენციისადმი, ვაჭრებისადმი, მასწავლებლებისადმი, ექიმებისადმი, მღვდლებისადმი, ვექილებისადმი და სხვა და სხვა და სხვა.

ერთის სიტყვით, ხალხის გულისწყრომა თავს დასტრიალებს თითოეულ ჩვენგანს და ეს გულისწყრომა ვერ დაგვიამებია, ეს სამართლიანი საყვედური თავიდან ვერ აგვიცილებია, ვერ მოგვიხერხებია, რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოვუღოთ სადღეისო გაჭირვებას და შეერთებულის ძალით გავუმკლავდეთ ისეთ ბოროტებას მაინც, რომელი ბოროტებაც ავკაცობათ არის ცნობილი არა მარტო დაჩაგრულ კლასებისა თუ ჯგუფებისაგან, არამედ თვით გაბატონებულ, განებივრებულ კლასებისა და მთავრობისაგანაც-კი.

მიზეზი ასეთის მოვლენისა—ჩვენთვის მაინც ცხადზე უცხადესია.

გარდა იმისა, რომ დუხჭირ პოლიტიკო-ეკონომიურ პირობებისა გამო ქვეყნად და, მაშასადამე, საქართველოშიც დიდი ზნეობრივ-ქონებრივ უსწორმასწორობა არსებობს, გარდა იმისა, რომ არიან მაძღარნი და არიან მშიერნი, არიან სისხლის მწოველნი და სისხლ გამოწოვილნი, არიან ჩინოსანნი და უჩინონი, არიან ძლიერნი და უძლურნი, არიან ჯანსაღნი და ავადმყოფნი, არიან ჰამპურა—მუქთა ხორანი და დღედაღამ შრომისაგან წელში გაწყვეტილნი,—ჩვენ,—ქართველებს,—ისე როგორც სხვა, ჩვენ ბედში მყოფ ერის შვილებს, ერთი უბედურება კიდევ გვჭირს. ეს უბედურება გახლავთ საერთო შეუგნებლობა, საერთო უკულტურობა, საერთო გაუტანლობა.

იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც შრომასა და კაპიტალს შორის თითქმის თვალუწვდენელი უფსკრული გაითხარა, სადაც მშრომელი კაცის ლუკმა სისხლითა და ცრემლით მოიპოვების, სადაც ბილიარდერების (ათასი მილიონების პატრონების) გვერდით აჩრდილივით დაღასლასობს ასიათასი მშიერ მწყურვალი და დიდ ქალაქების სანაგვეებში ეძებს პურისა თუ ხორცის ნამცეცებს და იმით იკვებება იმისთანა ქვეყნებშიც კი-მეთქი მოგახსენებთ (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ამერიკა), საერთო, საქვეყნო გაჭირვების დროს ხალხი, მასსა, ერის საერთო შემადგენლობა, ყოველთვის პოულობს ხოლმე ისეთ წერტილს, ისეთ პლატფორმას, რომელსაც ეყრდნობა უბედურებაში ჩავარდნილი ესა თუ ის ერი, ან სახელმწიფო და, ივიწყებს რა საპირადო საქმეს, საქვეყნო საქმეს სწირავს თავის სიცოცხლეს.

რათა? იმიტომ, რომ იქ ცხვირსთ ძალა

ერთობისა, იქ დარწმუნებული არიან, რომ, თუ სამშობლო, ქვეყანა, სახელმწიფო, არ ექნებათ, ყველანი ბუჩნუთივით მოიფუშნიტებიან...

ჩვენში-კი?

იმისთანა ქვეყანაში, სადაც კაცს ტყემლის წვენითა და მხლითაც კი შეუძლია გამოკვება, სადაც ცხრათვალა მზე დაგვყურებს და აუარებელ ბუნებრივ სიმდიდრეს შეუძლია თითოეული ჩვენთაგანი ადამიანობისა და სიკეთის უმწვერვალესს ხარისხზე აიყვანოს, სადაც, არა თუ კაპიტალი არ არის, არამედ **შრომა და დრო** ჩალის ფასადაც არა ღირს, სადაც არამც თუ ჩამოყალიბებული კლასები არ არსებობენ, არამედ ჩვენი თავიც კი ვერ გვცვნია,—სადაც „სამკალი ბევრია და მუშაკნი კი ძრიელ მცირედ", სადაც კაცობრიობის წარსული ისტორია და ხალხთა წარსული ცხოვრებისა და მათი ურთიერთობის დაკვირვება აუარებელ მასალას გვაძლევს,—ავიცილოთ ათასგვარი შეცდომები და შევქმნათ ისეთი ცხოვრება, რომ **„შენც ბედნიერი იყო და მეც"**,—უბრალო სამართლიანობაც ვერ დავვიმყარებია და კაციჭამიობას ვერ გავცილებივართ...

რათა?

იმიტომ, რომ მოვსწყდით **მშობლიურ კერას** და უცხოსიც ვერა შევითვისეთ რა.

გარეგნულად რომ შევხედოთ, საქართველო მთელ რუსეთის იმპერიაში მოწინავე ქვეყნათ ჩაითვლება. მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდებით ჩვენს შინაურ საქმეებს, ნათლად დავინახავთ, რომ საქართველოს იმ საარაკო ხარის საქმე ემართება, რომელსაც კუდი არა ჰქონდა და სხვას კი ბუზებს უგერებდა.

საჯაროდ, საქვეყნოთ აღვიარებთ, რომ ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ მომხრე, საქართველოს კარჩაკეტილობისა და ყველასაგან გამოთიშვისა. ეს უგნურებაც არის და საქართველოს სიკვდილსაც უდრის, მაგრამ ვერც იმას შევურიგდებით, რომ საქართველო და მისი მშრომელი ხალხი არ იღვწოდეს და არ მოქმედებდეს თავისი საკუთარის სახელით, როგორც ის იღვწოდა და მოქმედებდა 2500—3000 წლის განმავლობაში.

ჩვენ თუ გავკადნიერდით და ჩვენი სამშობლო „კუდა ხარს" შევადარეთ—ეს იმიტომ, რომ სხვის „მეთაურობის" დროს ამ სხვებმა საქართველოს თავისი საკუთარი სახელიც კი დაუკარგეს. იხსენიება:

— „კავკაზ, ზაკავკაზიე" და არც ერთხელ საქართველო, ან გრუზია! რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ გავთქვიფეთ იგი ამ საერთო გეოგრაფიულ ერთეულში და საქართველოს სახელის განდიდების მაგიერ, ჩვენ ლამის დავუკარგოთ ჩვენ სამშობლოს ისტორიის ფურცლებზე სისხლითა და ცეცხლით აღბეჭდილი სახელი!..

ეს კიდევ დიდი უბედურება არ იქნებოდა, რომ თვით ქართველები მაინც ვიცავდეთ ჩვენს ქართველობას და თავის დაცვის ალღოს არა ვღალატობდეთ.

ეროვნულ ცხოვრების მიფუჩეჩებამ, ჩვენის ისტორიისა, ზნე-ჩვეულებისა და ხალხოსნურ სულის კვეთების დაჩლუნგება—დავიწყებამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება არივ-დარია და, სხვის ფეხის ამყოლნი, ერთმანეთის მტრად გაგვხადა...

აბა, დააკვირდით ჩვენს ურთი-ერთობას.

ორი კაცი ერთად ვერ მორიგებულა. სამ კაცს ერთად ვერ უმუშავნია. ყველა ერთმანეთს უბღვერის, ერთი მეორეს სამარეს უთხრის.

ვსთქვათ, „ღმერთი გაგიწყრათ" და არა ხართ ამა თუ იმ მოძღვრების მიმდევარი, ან თქვენმა „პატარა ჭკუამ" ვერ შეითვისა, ვერ გაითვალისწინა „დიდი მოძღვრება დიადი კაცებისა". მაშ, ჩამოშორდი ცხოვრებას. შენში აღარც ადამიანობაა, აღარც გული, აღარც გრძნობა!.. ისე გიბღვერის შენზე „ჭკვიანი", გეგონება, შვილი მოგეკლას მისთვის!

ან კიდევ, „ღმერთი გაგიწყრა" და შენა გგონია, რომ კაცობრიობის კეთილდღეობა დამყარებულია თითოეულ ერის კეთილდღეობაზე, თითოეულ ადამიანის გონებრივსა და ზნეობრივ ამაღლებაზე... მაშ-შენ „მამულიშვილი" ხარ (ბრჩხილებში) ხულიგანი, დაცემული, დაქვეითებული, ყოველივე ადამიანურ ღირსებას მოკლებული. უნდა ქედი მოიხარო, უნდა მოიდრიკო მოწინააღმდეგეს წინაშე!

ან კიდევ „გაკადნიერდი" და ჰფიქრობ, რომ როგორც მწერებსა და ცხოველებში, ისე ერებშიაც არიან პარაზიტები, ფიტრები, რომლებიც სისხლსა სწოვენ თავის მეზობლებს... ხმა არ ამოიღო, ანგარიშს ნუ მოითხოვ, თორემ შენ იქნები მოღალატე კაცობრიობისა და სხვა და სხვა...

რა მოსდევს ასეთ თავდავიწყებას? ის, რომ გარეულებიც გიბრიყვებენ და შინაც საქმე აწეწილ-დაწეწილი გაქვს...

სწორედ ასეთ არევ-დარევის ბრალია, რომ ჩვენ, ქართველები, ყოველთვის განვიცდიდით და დღესაც განვიცდით დიდ უბედურებას: ზნეობრივსა, ქონებრივსა, თუ გონებრივსა.

სწორეთ ჩვენი დაქსაქსვისა, სულიერ და ხორციელ ლაჩრობის ბრალია, რომ ცხოვრება შესაფერ კალაპოტში ვერ ჩაგვიყენებია და დღეს ჩარჩ-ვაჭრებისა და ათასი ვიგინდარას საკრეჭათ ხდება ქართველი ხალხი, ქართველთა დაბა-სოფლები!..

დღეში ათასი წერილი იბეჭდება ჩარჩვაჭრებისა, თუ მოხელეების ბოროტ-მოქმედებაზე. ვღელავთ, ვშფოთავთ, ვყვირით, ვკივით, მაგრამ, პატრონი კი არსად სჩანს.

— შენ სწერე, მე კი ჩემ საქმეს გავაკეთებ!.. იცინის თავის გულში ესა თუ ის ბოროტმომქმედი.

და ჩვენც ვწერთ! მაგრამ მარტო წერა არა კმარა!

ამ სისხლის წვიმების დროს, იმ დროს, როცა მთელი კაცობრიობა ცეცხლის ალში გახვეული, როცა ჩვენი თვალი და აზრი ველარ გასწვდენია ბრძოლის ველს და ზარბაზნების გრიალისაგან ყურთასმენა აღარ არის, მოდით, ბატონებო, დავივიწყოთ ჩვენი ვიწრო გულისთქმა, ვიწრო პარტიული, თუ ჯგუფური, ინტერესები, მივცეთ ხელიხელს და შევქმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც აღაგზნებს შინაურთა ავკაცობას და ცოტათი მაინც შეუმსუბუქებს გაჭირვებულ ცხოვრებას ჩვენ მარჩენალსა, მაცოცხლებელსა და დამცველს ქართველს მშომელ ხალხს.

აბა, შეხედეთ ჩვენს მეზობელ სომხებს, როგორ ერთ სულოვნათ მოქმედებენ?

უსახლკაროებმა თავის ქვეყანაში ღ სტუმრებმა სხვისაში, მთელი ევროპა და რუსეთი აალაპარაკეს.

აბა, შეხედეთ სხვა ერებსაც, საერთო, საქვეყნო გაჭირვების დროს, როგორ ივიწყებენ შინაურ უთანხმოებას და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი როგორ ცდილობენ საერთო უბედურებიდან თავის დაღწევას?

ჩვენ კი?

ჩვენ-კი ერთმანეთსა ვჭამთ, ერთი ჯგუფი მეორეს კბილებს ულესავს, ერთი-მეორეს იტაკებს, ერთი მეორეს დასცინის, ერთიმეორეს სამარეს უთხრის, „ეშმაკები და მისი კუდები" დათარეშობენ ჩვენს მწერლობაში, უვიცები და ბრიყვები ჰქმნიან „საზოგადოებრივ აზრს", უსუსურნი და უტიფარნი ფეხით სთელენ ყოველივე სიწმინდეს საქართველოისას!

შინ გულ ამღვრეულნი, გარეთ კი დაბრიყვებულნი! ვინ, ვინ გაგვიწევს ანგარიშს ამისთანა ხალხს, ვინ იხსნის დაღუპვისაგან ამისთანა ერს:

რას ვშვრებით, საით მივდივართ? თუ ჩვენი თავი არ გვებრალება, ჩვენი მომავალი მაინც შევიბრალოთ!

თორემ რა ა ჰგავს ასეთი ჩვენი ყოფნა **დღეს**, როგორი იქნება ჩვენი სიცოცხლე ხვალე?

რატომ არა ვფიქრობთ ამაზე? რატომ ვღუპავთ ჩვენ ხალხს, ჩვენს ერს?

ძალა ხომ ერთობაშია და როცა შეერთებულის ძალით გავწმენდთ ჩვენ ქვეყანას ჩარჩ-ვაჭრებისა და შანტაჟისტებისაგან, როცა შეერთებულის ძალით ავლაგმავთ ავკაცობასა და მოვსპობთ უმეცრებაუვიცობას, როცა შეერთებულის ძალით შევქმნით ისეთ პირობებს ცხოვრებისას, რომ თხა ცხვარისაგან გაირჩევა და მგელი ბატკნისაგან, მაშინ, და მხოლოდ მაშინ, მოგვეცემა შვება და ჩვენ ხალხსაც ანგარიშს გაუწევენ, აბუჩად ველარავინ აიგდებს...

## ებრაელის ამონაკვნესი.

პატივცემულ გაზ. „სამშობლოს" 43-ე ნომერში ვკითხულობთ წერილს სათაურით „რუსეთის ცხოვრება", რომელშიაც სამართლიანათ აღნიშნულია რუსეთის თავად-აზნაურობის გავლენის მოკლება დღევანდელ პოლიტიკაში, რომელიც მათ ჩამოერთვა და გადაეცა სხვა კლასს. სამართლიანია აგრეთვე მათ გალოშქრებაზე ებრაელების წინააღმდეგ ის მშვენიერი შენიშვნებიც, რომელსაც შენიშნავს, ბ. გ. მ. მე მინდა მხოლოდ დავუმატო ის, რომ რუსეთის თავად-აზნაურობამ არათუ თავისი გავლენა დაკარგა პოლიტიკაში, სალაპარაკო მასალაც კი შემოლევიათ.

ვინც კი ყურადღებას აქცევდა წარსულ წლებში მათ კრებას, კარგათ ემახსოვრება, რომ მათი მთავარი სალაპარაკო ამ კრებაზე იყო, რომ შეერთებული ძალების გავლენით, ებრაელები გამოედევნათ რუსეთის არმიიდან და მის ნაცვლად გადასახადი ფული დაედვათ, გაუწითლებლათ იძახდენ: „შორს ჟიდები რუსეთის არმიიდანო." ამით, რასაკვირველია, უნდოდათ დაემტკიცებიათ, რომ ებრაელები არ არიან მკვიდრი შვილები რუსეთისა. მათი ასეთი მოსაზრების მთავარი არგუმენტები შემდეგი იყო: 1) ებრაელები არიან მხდალები, ზნეობრივათაც გაფუჭებულნი და ჯარს გვიფუჭებენო. 2) ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, თავიდან აიცდინონ სამსახურში წასვლათ და სხვა.

დღევანდელმა საერთაშორისო ომმა ძირითადათ გააქარწყლა მათი საბუთები და საბრალოებმა ამაზე ლაპარაკი უწინდებურათ ველარც კი მოახერხეს!

პირველი საბუთის გამაქარწყლებელია აუარებელ წერილებში გამოთქმული სხვადასხვა სამხედრო პირისგან ებრაელების ერთგული თავგანწირულება დღევანდელ ბრძოლის ველზე მტრის წინააღმდეგ. ამასვე ამოწმებს გიორგის სხვადასხვა ხარისხის ჯვრები, რომელიც მათ დაჭრილ გულზე ჰკიდიათ. ებრაელების თავგანწირულ ბრძოლას ამოწმებს ინგლისური გაზეთი „ტაიმსი", რომელიც ღრდებულის ქებით იხსენიებს ლონდონის უფროს რაბინის ადლერს, რომელიც [illegible] ებრაელებისაგან [illegible] ველზე და თავდავიწყებით იბრძვის ინგლისის ჯარში. დაგვემოწმება ფრანგული გაზეთი „ტანის", რომელიც დიდის ქებით იხსენიებს ებრაელ ჯარის კაცებსა და აფიცრებს და მათ შორის ვერსალის კამენდანტს, ლეიტენანტ ლიფმონს, რომელმაც დიდი სახელი მოიპოვა საფრანგეთის ჯარში.

ებრაელების ერთგულმა სამსახურმა გამოიწვია ის გარემოება, რომ დღეს ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიურსა და პოლიტიკურ წრეებში აღიძრა სამუდამოთ გადამწყვეტი ებრაელთა საკითხი ძველს დაუვიწყარ მათ სამშობლო პალესტინაზე.

მეორე საბუთს აქარწყლებს ის გარემოება, რომ დღეს ბრძოლის ველზე სდგანან ებრაელების საუკეთესო შვილები, რიცხვით სამასი ათასი კაცი, რომელნიც სხვა ერებთან ერთად მედგრათ იბრძვიან მტრის წინააღმდეგ. სხვებთან ერთად აგროვებენ აუარებელ შეწირულებას და აარსებენ ლაზარეთებს დაჭრილ მეომართათვის.

და აი, ამ დამამტკიცებელმა ფაქტებმა აიძულეს რუსეთის თავად-აზნაურობა, ენაზე კბილი დაედგათ და ამ საკითხზე კრინტიც აღარ დაეძრათ. დღემდი კი ისე ლაპარაკს ვერ დაიწყებდენ, თუ ებრაელების გინებას არ მოყვებოდენ ხოლმე.

იგინონ, იმუქრონ, მაგიერათ მათი გინებისა და მუქარისათვის, ჩვენ ებრაელები მზათ ვართ სხვა ერებთან ერთად თავი შევწიროთ რუსეთს და მოვიპოვოთ სახელი სამშობლოს ერთგული შვილებისა.

და, როგორც გამართლდება მოლოდინი სხვა ერებისა და, მათშორის, პატარა საყვარელი საქართველოსიც, მაშინ ჩვენც იმედი გვქონდეს, რომ გამარჯვებული რუსეთი აანთებს ჩვენს გამქრალ სანთელსაც.

ონის ებრაელების რაბინი **დავით ბააზოვი.**

## ვარლამ (კუწიკო) ბელოვანის ხსოვნას.

რაც უნდა მრავალნაირი დასამტკიცებელი საბუთი მოვიყვანოთ პირადობის გარეშე მყოფ გარემოებათა მნიშვნელობაზე და კერძო ინდივიდის გავლენა—ძალის გარეშე პირობებით შებოჭვა-შემცირების შესახებ, უტყუარ ჭეშმარიტებად დარჩება ყოველთვის ის ფაქტი, რომ კერძო ადამიანის თვისება-ხასიათსა და სულიერ ძალას დიადი მნიშვნელობა აქვს ყოველი ეროვნების ცხოვრებაში.

## პოლ დეშანელის სიტყვა.

12 თებერვალს სორბონში მოხდა უდიდესი მანიფესტაცია ლათინურ ხალხთა წარმომადგენლებისა, დეპუტატთა პალატის პრეზიდენტის, პოლ დეშანილის, თავმჯდომარეობით.

საფრანგეთის პრეზიდენტი რაიმონდ პუანკარე ვერ დაესწრო ამ მანიფესტაციას, რადგანაც მომქმედ ჯარის დასათვალიერებლათ მიდიოდა და პოლ დეშანელს შემდეგი აცნობა: „დიდათ ვწუხვარ, რომ ამ პარიზისა და მთელი საფრანგეთისათვის დიდებულ დღეს ვერ ვესწრები, ჩემს მაგივრათ ვაგზავნი ჩემს ადიუტანტსა."

სხდომა გაიხსნა პოლ დეშანელის სიტყვით. შემდეგ საფრანგეთის კომედიის მსახიობმა ქალმა მადლენ როშმა წაიკითხა „ქება იტალიისა" გაბრიელ დ'ანუნციოსი. მათ მიჰყვა სიტყვები: საბერძნეთის წარმომადგენლის—ანდრეადესისა, პორტუგალიის წარმომადგინლის—კარვალხოსი. შემდეგ ილაპარაკეს: რუმინელმა ისტრატიმ, ესპანელმა—ბლასკო იბანიესმა, ბელგიელმა—როლანდე მორესმა, იტალიელმა გულიემო ფერრომ და საფრანგეთის წარმომადგენელმა—ერნესტ ლავისმა. მანიფესტაცია დასრულდა რიშპენის პოემის კითხვითა და მარსელეზით.

ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვებიდან მოგვყავს რამოდენიმე ღირს შესანიშნავი სიტყვა.

სიტყვა **პოლ დეშანელისა.** ბატონებო! ყველაზე პირველი ადგილი ქვეყნიერობაზე უჭირავს კაცობრიობის განმანათლებელს მასწავლებელს პალლადა-ათინას, რომელმაც დაიცვა ევროპის ცივილიზაცია აზიელ ბარბაროსებისაგან; მას მოჰყვება იტალია, რომელმაც დაიცვა საბერძნეთი აფრიკელთა შემოსევისაგან, იტალია, რომელმაც გამოგვიგზავნა ჩვენ თავისი მნათობები: ისტორიკოსი, პოეტი და ჯარის კაცი: ფერერო, რომელმაც გააცოცხლა ისტორია სოციოლოგიით; იგი ხატავს უძველეს დროის ხალხს ისე, რომ მათ ნათლათ თვალწინ გვიყენებს, და დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მან კაპიტოლიაში დიდ დღესასწაულზე მოაგონა ხალხს ლათინური ტრადიცია.

დ'ანუნციო, საკვირველი მიდიდებელი რაღაც გამოურკვეველ საუკუნო ქალაქისა, რომელიც დაბადებულია ადრიატიკის ზღვებში და მატირალი დაკარგულ ტრიესტისა; რიჩჩიოტი გარიბალდი, რომელსაც გუშინ აღტაცებით ეგებებოდა მთელი პარიზი და რომლის მამა კიდევ 1859 წელს იბრძოდა ალპებში, იმ დროს, როდესაც ჩვენ ვიბრძოდით მადჟენტას და სოლფერინოსთან, 1870 კი ჩვენთან იცავდა პარიზს მტრების თავდასხმისაგან, —რიჩჩიოტი გარიბალდი, რომელმაც თავისი შვილები შესწირა სწორეთ იმ არგონებში, სადაც რევოლიუციამ მისცა ქვეყნიერებას თავისუფლება.

შემდეგ—ჩვენი მეორე და ესპანია, რაინდული სულის მქონე, მატარებელი გმირობისა და პატიოსნების თავის ბრწყინვალე რომანისტით ბლასკო იბანიესით და პორტუგალია, რომელიც გვიგზავნის მხურვალე სალამს შორეულ ნაპირებიდან.

აი ბელგიაც, წამებული თავის ველისა, თავის მიწაზე, თავის წმიდათა-წმიდათ შორის ჯვარცმული და წამებული, ღირსი თავის ახალგაზდა მეფის ალბერტისა, რომლის სახელიც კურთხეულ იქნება ხალხთა მახსოვრობაში, ვიდრე მათში იარსებებს გრძნობა პატიოსნებისა. ბელგია, მებრძოლ მხარეთა ასპარეზს როდი წარმოადგენს. არა! იგი საწინდარია ქვეყნიური სიმართლის და სამართლიანობისა.

მათ მოჰყვებიან; ბრწყინვალე რუმინია, რომლის ინტერესებიც მჭიდროთ არის დაკავშირებული საფრანგეთის ინტერესებთან და ხალხნი ამერიკისა, სადაც ლათინური სისხლი შეერია ანგლო საქსურს, რათა მიეცეს ცხოვრებას ახალი სილამაზე.

ერთი ოჯახი თავის საუცხოვო სხვადასხვაობაში!

ერთი ოჯახი! იმიტომ ვამბობ, რომ ლათინურ ხალხთა შორის დავა და ქიშპობა უკვე მოსპობილია, ერთმანეთ შორის ბრძოლისა და უკმაყოფილების აჩრდილიც-კი გაქრა. მათი ინტერესები ერთმანეთს დაუახლოვდენ და საერთო ინტერესებათ გადაიქცენ.

დღეს ორი უდიდესი პრობლემა ერთმანეთს დაეჯახა; პრობლემა საბერძნეთ-ლათინური ცივილიზაციისა და პრობლემა თანამედროვე გერმანიისა.

პირველყოფილი კაცობრიობა, როგორც თვით ბუნება, წარმოადგენდა მარტო ძალადობას და ერთი მეორის ამოჟლეტასა და შემუსვრას. თანდათანობით, საუკუნეთა სრბოლაში, ადამიანში იღვიძებდა სინიდისი, რომელსაც მიჰყვებოდა სამართლიანობა და სამართლიანობას კი მიჰყვებოდენ მისი პირველი კვირტები: სიბრალული და სიყვარული. სტოიკური სიბრძნე და შემდეგ ქრისტიანობა, რომელთაც ამცნეს ხალხს მორალური კანონი, თანასწორობა და ძმობა ერთა და ხალხთა შორის; რომი, რომელიც სცხოვრობდა უფლების ადმოსფერაში და პატივს სცემდა ყოველგვარ პიროვნებას და მოლაპარაკებას, სადაც ღმერთები იყვენ უზენაეს მსაჯულებათ; ჩვენი რევოლიუცია, რომელმაც განაცხადა ადამიანის უფლებებთან ერთად ნაციონალური პრინციპი, ე. ი. ხალხთა უფლება და ბოლოს და ბოლოს განუსაზღვრელი თავისუფლება ადამიანის პიროვნებისა; აი—რაშია ჩვენთვის უმთავრესი აზრი ცხოვრებისა.

ყველა ამას გერმანიამ წინ დაუყენა სულ სხვა რამ: იდეა იერარხიისა, რომელიც მიიყვანეს თვით გერმანელებმა უკიდურეს საზღვრამდი. მასზე განისვენებს მთელი მისი პოლიტიკა და მანვე წარმოშვა დღევანდელი უმაგალითო სისხლის მღვრელი ომი.

გერმანელები ამბობენ: „ჩვენ ყველაზე ძლიერები ვართ (ამ სიტყვებში მათ წარმოდგენილი აქვთ არა მარტო მატერიალური, არამედ ინტელექტუალური ძლიერებაც), ჩვენ ყველაზე ძლიერები ვართ, იმიტომ, რომ ყველაზე უფრო გაწვრთნილნი და წინდახედულნი ვართ; პატივს ვსცემთ კანონს და ყოველგვარ მოლაპარაკებასა და ხელშეკრულობას. აი, ამიტომ ევროპის მართვა ჩვენს ხელში უნდა გადმოვიდეს. სწორეთ ჩვენა ვართ არჩეული ხალხი"-ო.

ახლა შევცვალოთ ეს სოფისტური აზრები გარკვეულ ლათინურ ენით.

„ძალა ქმნის უფლებას"-ო—ამბობთ თქვენ? არა: უფლება სრულიად დამოუკიდებელია, როგორც ინტელექტუალურ, აგრეთვე მატერიალურ ძალისაგან.

რა მიგაჩნიათ თქვენ მეცნიერებათ? მეცნიერება, რომელიც ქმნის სიცოცხლეს, კლოდ ბერნარის, პასტერის, ბერტელოს, გუტენბერგის, ლეიბნიცის, და გერშელისას, თუ კრუპისა და ცეპელინის იარაღებს, იმ იარაღებს, რომელსაც მოაქვს სიკვდილი და უბედურება ღვთისაგან შექმნილ ხალხისათვის.

თუ ხალხთა პირველობა დამოკიდებულია იარაღზე, მაშინ ფილიპეს სამშობლო დემოსფენის სამშობლოზე მაღლა მდგარა.

თქვენ ამბობთ, რომ ძლიერები ხართ არა მარტო იარაღით, არამედ საზოგადო კულტურითაც; თქვენი ცივილიზაცია უფრო მაღლა სდგას სხვა ერების ცივილიზაციაზე და ამიტომ უნდა მართოთ ევროპა.

რისთვის? რათა? იმიტომ, რომ კანონი გასთელეთ? იმიტომ, რომ დაჩაგრეთ უძლურები? და ბოლოს იმიტომ, რომ მეზობელ ერებს თავისუფლება მოუსპეთ?

„იქ, სადაც კითხვა იბადება პრუსიის სიძლიერეზე, სთქვა ბისმარკმა, მე კანონი აღარ მწამს", „საჭიროება ქმნის კანონს"-ო, სთქვა ბეტმან-ჰოლვეგმა.

და შემდეგ კი სიმართლეს აუკუღმართებენ და ხალხს ღმერთს თავდებათ აძლევენ, ვითომც დღევანდელ ომის მიზეზი ჩვენ ვიყოთ. რომელი ჭკუათა მყოფელი ადამიანი, დედამიწის რომელ კუთხეზეც უნდა ცხოვრობდეს, რა ქვეყანაშიაც უნდა იყოს, უარყოფს იმას, რომ პრუსია ავითარებდა თავის ვაჭრობა-მრეწველობას მხოლოდ იმიტომ, რომ ომის დროს უძლეველნი ყოფილიყვნენ?

და რომელი ადამიანი იტყვის იმას, რომ საფრანგეთი 15 წლიწადს ემზადებოდა და ფიქრობდა იმაზე, რომ გერმანია რევანშზე გამოეწვია.

არა და არა, იგი ფიქრობდა სულ **სხვას** და ამ **სხვამ** უყო საფრანგეთს ის, რომ მან ვერ მოასწრო საკმაო ძალის შეკრება გერმანელთა საწინააღმდეგოთ, მაგრამ არა სამრათ, არამედ საზოგადოების სასარგებლოთ წომზადებული ხალხი მაინც მედგრად დახვდა გახელებულ მტერს და არაჩვეულებრივ რაინდულათ უმკლავდება მას.

საფრანგეთი ხშირათ ხდებოდა სოფიზმის მსხვერპლათ, იმ სოფიზმებისა, რომლებმაც ჩანთქეს ბევრი დიდებული ხალხი. ექიმი, რომელიც ებრძვის სენს თვი-

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კერძო პირადობის სიძლიერე-სიკარგეს ყოველნაირი გარემოებით შევიწროვებულსა და დაჩაგრულ ეროვნებათა შორის: აქ, ხშირად კერძო ადამიანის ღირსება, გამბედაობა, მხნეობა სასწაულმოქმედების შედეგებს იძლევა. ამ მოსაზრებას თუ მივიღებთ მხედველობაში, ყველასათვის ცხადი გახდება ის, რომ კუჰიკო გელოვანის პირად ღირსებას, რომელიც რაღაც შთამომავლობით გადმოცემული აქვთ ძველი ქართველური კულტურის მემკვიდრეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის ხან-მოკლე მოღვაწეობა-მოქმედებაში.

რაში მდგომარეობს ძველი ქართველური კულტურის ძალა? რაღაც განსაკუთრებული ხალისიანობა, მიმზიდველობა-მომხიბვლელობა-სიმპატია, რაც უნდა განწყობილი იყო სამტროთ და საწინააღმდეგოთ ამისთანა ადამიანებისადმი, რაღაც უხილავი, ფარული, სულიერი განწყობილების გამომწვევი ძალა გხიბლავს, გიპყრობს, გიმორჩილებს; ამას გარდა, ძველი ქართული აღზდის ადამიანი შესამჩნევია განსაკუთრებული სულის მშვიდობიანობით, მხნეობით, გამბედაობით, დიდ სულოვნობით, აუჩქარებლობით, სიდინჯით. ქართველი კაცი მოქალაქობრივ ცხოვრებაშიაც სამხედრო გრძნობა-თვისებით აღჭურვილია, მაგრამ მისი მხედრობა გარეგნული, ფორმალური კი არ არის, არამედ ღრმად შთანერგილი მის ბუნებაში და მხოლოდ საჭიროების დროს გამოსაჩენად შენახული. სწორედ ჭეშმარიტებაა ქართული თქმულება:

„ომი ვაჟ-კაცს გამოაჩენსო". მართლაც, ომმა გამოამჟღავნა კუჰიკოს სულიერი თვისება-ღირსება.

ნამდვილი ძველი ქართველი განხორციელდა კუჰიკოში ომიანობის დროს; ამიტომაც ალაპარაკდა მთელი რუსეთი მისი კეთილშობილური და რაინდული მოქმედების გამო და რუსებისგან გავიგეთ ჩვენ ჩვენი ღირსების ძალა-სიკარგე. არავითარი ადამიანის დამამშვენებელი თვისება ისეთი დასაფასებელი და მნიშვნელოვანი არ არის, როგორც მხნეობა — მამაცობა: მხოლოდ მხნე, გაბედულ, ომში და გაჭირვებაში სულით მაღალ ადამიანს შეჰფერის კაცური-კაცის სახელი ჩვენი ძველი კულტურული აღზდის თვალსაზრისით. სწორედ ამნაირი მხნე, ვაჟკაცი იყო კუჰიკო ცხოვრების ყოველ განსაცდელ გარემოებაში. მისი მამაცობის დასამტკიცებლად მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს: ამ ათი წლის წინად პეტროგრადში ერთ წრეში შემთხვევით შევიკრიბეთ რამოთონვე ავრცელებს მას; მესაჭე, რომელმაც გემი წყალქვეშ მდებარე ქვებისაგან უნდა იხსნას, თვითონვე დაეჯახება ხოლმე მათ. აი, სწორეთ იმიტომ, რომ ომი მოისპოს, საჭიროა **მოისპოს იარაღი და არმია.**

ოხ, ღმერთო! იქნება თუ არა ეს ომი უკანასკნელი და ხალხისთვის გაკვეთილათ?

და აჰა, გერმანიამ წინდაწინ მოიფიქრა თავდასხმა და ჩვენ გვამტყუნებს იმიტომ, რომ იქ, სადაც საკითხი პრუსიის სიძლიერეზეა, მან არ იცის არავითარი კანონები.

მაშასადამე, სწარმოებს ბრძოლა ორ ბანაკს შორის; ერთ ბანაკშია: უფლება, თავისუფლება და სული — მეორეში კი: ძალა, ძალადობა და მატერია.

აი, სწორეთ უფლებათა დასაცველათ ჩვენები იბრძვიან გერმანელების წინააღმდეგ: დაამარცხეს ისინი მარნაზე, საშინელი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ იეზრთან, შევიდნენ ნაციონალური დროშაზე ელზასში, დაიცვეს პარიზი და დევნიან მტრებს საფრანგეთის საზღვრებიდან. ეს გმირები არიან შთამომავალი იმ რაინდებისა, რომლებიც იბრძოდნენ: მარათონის ველზე, სალამინში, პლატეასთან.

კანონი ისტორიისა მალე მოიპოვებს მკვიდრს, შეურყეველ საძირკველს.

რა დაგვიჯდება ჩვენ ეს ომი, არ ვიცით, მაგრამ უეჭველია ის, რომ ლათინურ ერთა კავშირი ანგლო-საქსებთან და სლავიანებთან იდღესასწაულებს ბრწყინვალე გამარჯვებას და მასთან ერთად მთელი თავისი ძალით გამოაშუქებენ: მორალური თავისუფლება და სამართლიანობა.

**სტ. ლ. ყიფიანი.**

(შემდეგი იქნება).

დენიმე იქ მყოფი ქართველები საბაასო-სახალისოთ და სამხიარულოდ. ჩვეულებრივი ჩვენებური ქეიფ შექცევის დროს, ერთმა ჩვენებურმა ყმაწვილმა, ღვინისაგან შეხურებულმა, დაიწყო ჩვეულებრივი რეჩები, ყველას მოსწყინდა სმენა და, სხვათა შორის, კუჰიკოსაც და ის ახლო მჯდომს მეზობელს ებაასებოდა, ორატორმა შენიშვნა მისცა მას: „ყმაწვილო მომისმინეო", კუჰიკომ ჩვენებურათ იოხუნჯა: — შენმა მოსმენამ დაგვღალაო — ეს ძლიერ იწყინა ჩვენებურმა თავმომწონე ახალგაზდამ და, სრულიად მოულოდნელად ყველა ჩვენთვის, იძრო რევოლვერი და მოსაკლავათ მიუღირა კუჰიკოს; ჩვენ ყველა გავვოცდით, წამოვხტით, მივაშურეთ ჰირველ რაინდს, კუჰიკო კი ისე იჯდა თავის ადგილზე, თითქოს მას ეს ამბავი არ ეხებოდეს: არავითარი აღელვება, შეკრთომის გამომეტყველება მის სახეს არ ეტყობოდა, წინააღმდეგ, ყველას გვამშვიდებდა: „რის გეშინიათ, რა გაწუხებთ, გაუშვით ეგ ყმაწვილი, იქნება, დაწყნარდესო". უნდა დავსთანხმდეთ, რომ ასეთი სულიერი სიმშვიდე, უშიშრობა ახლანდელ დროში იშვიათი მოვლენაა. ჩვენს ახალი აღზდის ყმაწვილებს, რომ ვუკვირდებით, სასოწარკვეთილებაში ვვარდებით: სრულიად უმნიშვნელო ბრძოლა — გაჭირვებასაც ვერ იტანენ, სულით ეცემიან და ხშირად უბრალო უსიამოვნების გამო თავზე ხელს იღებენ.

დიდათ დასაფასებელია ამ ჩვენი ცხოვრების დაკნინება - დაქუცმაცება-დამცირების დროს კუჰიკოსთანა ძველი ქართველური აღზდის მამულიშვილი.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, ჩემო საყვარელო მეგობარო!

**ნიკო თავდგირიძე.**

# ნარკვევი.

ჩვენ არ გვინდა ხოლმე გამოვეხმაუროთ „თანამედროვე აზრელებს", ვინაიდან ისინი საქართველოს დუხჭირ ცხოვრებას ჰიპერბოლურ ჩხირკედელობისათვის და მაჯავრელათ დაუბადნია, მაგრამ დრო და დრო ისეთ ცეცხლს, მთელი ჩვენი — ქართველობის რაობის — დამწველ ცეცხლს დაანთებენ ხოლმე, რომ შეუძლებელია დუმილი და მოთმენა!.. აი, დღესაც ეკამათებიან რა „სახალხოელებს" „მეცნიერ" კაკაბაძის გამო, (აშენდა კაკაბაძის ოჯახი, დღეის შემდეგ მას ბუზსაც ვეღარავინ აუფრენს, რაკი დასელებმა შეიფარეს თავის კალთის ქვეშ!) ასეთ ალმაშფოთებელ რამეს სწერენ:

> როგორც ვიცით, ბ. ს. კაკაბაძე პროფ. მარრის აზრს იმეორებს, რომელმაც მთელი სკოლა შექმნა ქართულ-სომხურ ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში. ის ამ ჟამათ საუკეთესო სპეციალისტათ ითვლება, თავის დროზე ბ. ნ. მარრიც აითვალწუნეს. ეს ილია ჭავჭავაძის საქმეა, რომელიც რამდენიმე ათი წლის განმავლობაში ჩვენში აზრის თავისუფლებას ებრძოდა. ახლა ილიას გზას მტკიცეთ მისდევენ „სახალხოელნი", მარა მათ ილიას გაბედულება აკლიათ, პროფ. ნ. მარრის წინააღმდეგ ამხედრებას სახიფათოთ აღიარებენ და ნიშანში ბ. კაკაბაძე ამოუღიათ.

კმარა, ბატონებო ამდენი მასხარათ აგდება ქართველობისა! საზღვარი დაუდეთ უბირ მკითხველების მოტყუებასა და გადარევას:

**ილია ჭავჭავაძე რამდენიმე ათი წლის განმავლობაში ჩვენში აზრის თავისუფლებას ებრძოდაო!** (ხაზი ყველგან ჩვენია,

განა ამაზე მეტი უსირცხვილობა და ცეცხლი კიდევ იქნება?!

გონს მოდით, ბატონებო!

# სად უფრო თავისუფალია დღეს მწერლობა?

„ინგლისში დღესაც კი შესაძლებელია უკიდურესი აზრები თავისუფლათ გამოითქვას; ყოველშემთხვევაში სხვა ქვეყნებთან შედარებით ისევ ინგლისში უფრო თავისუფალია, როგორც პრესა ისე სხვა დარგის მწერლობაც". ასე სწერს ლონდონელი კორესპონდენტი დიონეო დიდი ბრიტანიის დღევანდელ სამხედრო ცენზურის ლიბერალობაზე; და მართლაც ყოველთვის და ყველაფერში დათმობის პოლიტიკას და ლიბერალიზმს დაჩვეული ინგლისი დღესაც მეტ ლიბერალობას იჩენს: სამხედრო ცენზურაც კი იშვიათად თუ წაშლის რასმე გაზეთში, თვარა სხვაფრივ აზრს და შეხედულებას ავტორისას არასოდეს არ ეხება.

დღეს გაზეთებში „მეთაურების" ნაცვლათ „თეთრი სვეტები" ჩვეულებრივი მოვლენაა. ხშირათ წერილების მხოლოდ სათაურები და ავტორების მარტო სახელი და გვარი იბეჭდება. ინგლისში კი ამის მსგავსი არაფერი არ ხდება თუ-მე. მარა აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ არც ერთ სახელმწიფოში და არც ერთ ერში ისე სუსტი და უფხო არაა ოპოზიციონური ან რევოლიუციონური მწერლობა, როგორც ინგლისში. დღეს, მაგალითად, როცა ომიანობამ მრავალი საჭირბოროტო საკითხი წამოაყენა, ინგლისშიაც ბლომათ გამოიცა სხვადასხვა ბროშურები, რომელთა ავტორები თავისუფლათ სწერენ ამ კითხვებზე; მარა იმათგან თვით უსასტიკესი სამხედრო კრიტიკოსებიც კი მხოლოდ შემდეგ დასკვნამდე მიდიან: „მოკავშირეებმა უთუოდ უნდა გაიმარჯვონ... ეს როგორც ევროპისთვის, ისე მთელი კაცობრიობისთვისაც ძალიან საჭიროა. პრუსიის სამხედრო ავტოკრატია უნდა დარწმუნდეს, რომ მას არ შეუძლია თავისი სურვილი და ნება უკარნახოს თავის მეზობლებს...".

ასე ბჭობენ დღევანდელ ომის შედეგებზე ინგლისელი სამხედრო მიმომხილველნი და კრიტიკოსნი; ცოტა უფრო შორს მიდიან სხვა დარგის მწერლები, პუბლიცისტ-მეცნიერები, მარა უკიდურეს და რევოლიუციონურ აზრებს ვერც იმათგან გაიგონებთ: ალბათ საიმისო არცა აქვთ სათქმელი, მათი ხმა კი, ვისაც სათქმელიც აქვს და ვისი ინტერესებიც მუდგარ შინაურ ბრძოლას მოითხოვს, ინგლისის მთავრობის ლიბერალური პოლიტიკით და ლეგიონ ლიბერალ მწერლების ლიბერალური ჟივილ-ხივილით არის ჩახშობილი. ინგლისის დღევანდელი მაგალითი თვალსაჩინოთ გვიმტკიცებს, რომ არა „სასიამოვნო ხმების", პროტესტების და „გაფიცვების" ჩამახშობელი უკეთესი იარაღი დროზე მისწრებული ლიბერალური პოლიტიკა და ლიბერალური მწერლობაა. ამის წინააღმდეგ მაგალითს წარმოგვიდგენს ინგლისის მეტოქე, არა ლიბერალი, არამედ სასტიკი მეომარი და „იმპერიალისტი" გერმანია.

აქ ცენზურაც სასტიკია, „პატრიოტიზმიც" უკიდურესობამდეა მიღწეული, მარა მთავრობის საწინააღმდეგო აზრები და სახალხო პროტესტები სულ უფრო და უფრო ხშირდება. აქ „შინაურმა ომმა" უკვე იჩინა თავი და კლასთა სოლიდარობა, რომლითაც ისე გაითქვა სახელი ინგლისმა, თანდათან ირღვევა.

ამიტომაც გერმანიაში დღეს პრესაც და სხვა დარგის მწერლობაც ოპოზიციონერობას იჩენს, მთავრობას კრიჭაში უდგას და მისგან სულ უფრო და უფრო მეტ დათმობას მოითხოვს. და აი ცენზურა ამიტომაც იქ მეტ საქმიანობას, მეტ სისასტიკეს ხმარობს; ის იქ იძულებულია ხშირათ მოაგონოს პრესას „პატრიოტული მოვალეობა" და სავალდებულო დადგენილებაზე მიუთითოს. დღეს იქ მთავრობის წინააღმდეგ სასტიკათ ილაშქრებს სოციალდემოკრატიული პრესა, განსაკუთრებით ბელგიის ანექსიის გამო. ამიტომ სამხედრო მთავრობაც სდევნის მას, ს. დ. გაზეთს და სასტიკათ სჯის.... სამი დღით აჩერებს. მაგალითათ, ამ დღეებში დიუსელდორფის სოციალისტური გაზეთი მე-7 არმიის კორპუსის უფროსმა სამი დღით შეაჩერა, ასე მოექცენ ბევრ ალაგას სხვა ს.-დ. გაზეთებსაც.

საყურადღებოა მოტივები, რომლის მიხედვით გაზეთებს სდევნიან გერმანიაში. ამას ზემოხსენებული სამხედრო უფროსის „ბრძანება" გვიჩვენებს. ის ამბობს:

„24 მარტს გამოქვეყნებული სტატია — „ინგლისი და ჩვენ" სიმართლეს არ შეიცავს. ამ სტატიით გერმანიასა და ინგლისს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამწვავების პასუხისგება მთავრობას ედება; ეს კი ისეთი თვალსაზრისია, რომელიც არას გზით არ შეიძლება დაშვებულ იქნას, რადგან ის პატრიოტულ გრძნობას ეწინააღმდეგება. ეს ერთი, მეორე ეს სტატია უარყოფს იმას, რასაც კანონი მოითხოვს: გერმანიის მიერ ტერიტორიის შეძენას ბელგიასა და საფრანგეთში. ამის უარყოფა ომის მიზანსაც ეხება, რაც განსაკუთრებულ დადგენილებას არღვევს. დაბოლოს, ამბობს უფროსი, სტატია ყოვლათ შეუსაბამო და უმართებულო კილოზეა დაწერილი, რაც ნაციონალურ გრძნობას ღრმათ შეურაცყოფს".

აი ყველა ის მოსაზრებანი, რომლის ძალით გერმანიის სამხედრო ცენზურა „ბარბაროსობს" და ს.-დ. გაზეთებს მხოლოთ სამ-სამი დღით აჩერებს, მაშინ როდესაც მის მოწინააღმდეგე ქვეყანაში დარბაისელ „პატრიოტ ლიბერალსაც" რაღაც ათასიოდე მანეთით აჯარიმებენ.

სად უფრო სასტიკია ცენზურა?!.

**დ—ელი.**

# შუშანიკა იმნაიშვილი.

არის ისეთი საიდუმლოებანი, რომლის წინაშეც ადამიანმა ქედი უნდა მოიხაროს და განცვიფრებით დაეკითხოს თავის თავს: რათ ხდება ასე, რა ძალაა ისეთი, რომ ადამიანს თავზე ხელს აღებინებს და ისედაც მოკლე წუთი-სოფელს თავის თავად იმოკლებს?

ისეთი საიდუმლოებაა ჩემთვის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მერვე კლასის მოწაფის შუშანიკა იმნაიშვილის გარდაცვალების ამბავი.

ახალგაზდა, სიცოცხლითა და ჯანღონით სავსე ჩემი მოწაფე — შუშანიკა — დღეს ნეშტათ ქცეულა და იმის მაგივრათ, რომ მიგველოცა სწავლის დამთავრება ც ნასწავლის ცხოვრებაში სასიკეთოთ გამოყენება, დღეს მის უსულო გვამს დავყურებთ და კვლავ ვკითხულობთ: რათ, რათ მოისპო ნორჩი სიცოცხლე?

რათ? ჰკითხეთ ეს ცხოვრების სიდუხჭირეს,

ჰკითხეთ ქუჩას, ჰკითხეთ ტვირთ მძიმეთა და დამშვრალთ. ჰკითხეთ მშობლიურ ნიადაგიდან მოწყვეტას, ჰკითხეთ აზრთა არევ-დარევას და სიცოცხლის გაიაფებას, ჰკითხეთ ადამიანის ბუნებას და გულის ტკივილს!

მე კი არ მინდა დავიჯერო, რომ საუკეთესო მოწაფე ჩემი — გუშინ მოცინარი, მოცეკვავე, დროზე ბეჯითი, დროზე მხიარული, დღეს გაცივებული დევს კუბოში და ჩვენ იმედებს შავი ხეწარი გადააფარა...

რათ? რათ მოიძულა თავი თვისი, მშობელ ნათესავნი და თავისი ქვეყანა? განა ამას ვასწავლიდით?...

თვალ ცრემლიანი, გულის ტკივილით ქედს ვიხრი ამ საიდუმლოების წინაშე!

მასწავლებელი ი. ცინცაძე.

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსგან.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 9 აპრილი. დუნაეცის რაიონში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა, 6 აპრილს, მტრის რამდენიმე პუნქტს მიაღწია. ჩვენი არტილერია თავგანწირული ებრძოდა მტრის ბატარეიებს, რომელიც აიძულა თავისი პოზიციები გამოეცვალა. გორლიცის რაიონში დიდი ძალებით მტერი ცდილობდა ჩვენზე იერიშის მიტანას, მაგრამ ჩვენი ტყვიისმტყორცნელების ცეცხლით იძულებული გახდა თავის პოზიციებისკენ დაეხია. ჩვენი მზვერავები მარჯვე მოქმედებას განაგრძობენ. ამ დღეებში ერთი აფიცერი და 25 ჯარისკაცი დავატყვევეთ. მეზოლაბორჩის გზით, 6—7 აპრილს, მტერი მთელი თავისი ძალღონით ცდილობდა წაერთმია წინა დღეებში პალენთან ჩვენ მიერ დაჭერილი სიმაღლეები. ამ პუნქტზე მტერს ერთმანეთზე მიჰქონდა იერიში. 11 საათის ბრძოლის განმავლობაში მტერი სასტიკათ დამარცხდა, ერთი როტა მთლათ გავანადგურეთ. უკანასკნელ დღეებში ტყვეთ ბევრი ჩაგვივარდა ხელში, რომელთა შორის 600-დი მთვრალი აღმოჩნდა. მეზოლაბორჩის რაიონში მტრის სამმა ჰაეროპლანმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო, ჩვენთვის არავითარი ზიანი არ მოუყენებია. ამას წინათ 901 მეტრ. სიმაღლის ასაღებათ ბრძოლისგან მოქანცულმა მტერმა კოზიუვკის რაიონში განსაკუთრებული სიმაგრე ვერ გამოიჩინა. ჩვენი მზვერავები მტრის დარაჯს მიეპარენ და დაატყვევეს, შემდეგ მტრის ლაშქარს ზურგიდან წამოუარეს და მთელი როტა ხიშტებით დაფლითეს.

**პეტროგრადი.** 10 აპრილი. 8 აპრილიდან მემელის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. 4 აპრილს, გათენებისას, გერმანელები ცდილობდნენ ჩვენი საველე დარაჯისთვის ალყა შემოერტყათ [illegible] ვის ჩრდილო-აღმოსავლეთით [illegible] რაჯებს მიუახლოვდნენ [illegible], მაგრამ ჩვენმა ჯარმა დიდი ზარალით მტერი უკუაქცია. ოსოვეცის ფრონტზე სიწყნარეა, მხოლოთ დროგამოშვებით თოფის სროლის ხმა გაისმის. ოსოვეცზე მტრის ჰაეროპლანები გამოჩნდებოდნენ თუ არა, უმალ ჩვენი სიმაგრის გარნიზონის ცეცხლი გაჰფანტავდა ხოლმე. ჩვენმა ჰაეროპლანებმა კაპიცთან მტრის ბარგს მარჯვეთ ესროლა ყუმბარები. მდ. ვისლის მარჯვენა ნაპირის რაიონში სროლა იყო. ლოპატუვცის ახლოს ჩვენმა არტილერიამ გერმანელების ბატარეიის სათვალყურო პუნქტი დასწვა და აიძულა სროლა შეეწყვიტა. ჩვენი მზვერავების ერთმა ჯგუფმა გერმანელების საყარაულოს სახელდახელო ყუმბარები დაუშინა, რითაც სანგრებში ჩასაფრებულ მტრის ლაშქარს თავზარი დასცა და ბევრი მათგანი დაატყვევა. ჩვენი ტყვიისმტყორცნელის ცეცხლმა მტრის ორი ელექტრონის პროჟექტორი დაამსხვრია. ჩვენმა ჰაეროპლანებმა მტრის ჩამობმულ ჰაეროსტატზე მარჯვეთ მიიტანეს იერიში, რომელიც გულფევის ახლოს იძულებული გახდა ჩამოშვებულიყო. აქ ჩვენმა ჰაეროპლანებმა გერმანელების შეგულ ჯარში ერთდროულათ რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს, რამდენიმე მარჯვეთ გასქდა. ჩვენმა მფრინავმა ილია მურომეცმა პლეცკოზე 15 ყუმბარა ჩამოაგდო. ნაწილი ამ ყუმბარებისა გერმანელების საბარგო ხომალდს მოხვდა. რამდენიმე ყუმბარა ქალაქის მოედანზე გერმანელების ბარგებს შუა გასქდა. ილია მურომეცის ორმა ჰაეროპლანმა „კიევსკიმ" და „№" მესამემ მლავის სადგურსა და ჰაეროპლანების სავარჯიშო მოედანს ყუმბარები დაუშინა. თითო ყუმბარა სიმძიმით 15 ფუთს უდრიდა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**ცეტინიე.** 10 აპრილი. ავსტრიელების ქვეითა ჯარმა და არტილერიამ, 6 აპრილს, ფაგისთან (?) ჩერნოგორიელებზე იერიში მიიტანეს. რვა საათის ბრძოლის შემდეგ მტერი უკუქცეულ იქნა. 7 აპრილს, მტერმა ჩერნოგორელების ფრონტზე კვლავ ხელახლათ მიიტანა იერიში, მაგრამ მტერი აქაც დამარცხდა. ჩერნოგორიელების მხრივ ზარალი არ არის.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

**სოლუნი.** 10 აპრილი. ხიოსიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის კრეისერი „მინერვა" კუნძულის სანაპიროების გასწვრივ დასცურავდა. მოკავშირეთა ჰიდროჰაეროპლანმა ყურეში დაზვერვა მოახდინა. მიტილენიდან ცნობაა: გუშინ მოკავშირეთა ოთხი ჰიდროჰაეროპლანი და ნაღმოსნების ერთი რაზმი დარდანელის სრუტეში შევიდნენ. ოსმალების ბატარეიებმა მათ ცეცხლი დაუშინეს.

**ათენი.** 10 აპრილი. მიტილენიდან მოსული ცნობით კუნძულ მუდროსსა და ტენედოსზე თავმოყრილი ჯარის ტრანსპორტების რიცხვი 150 უდრის, რომლის ნაწილიც საიდუმლო დანიშნულებით არის გაგზავნილი სხვაგან. ოსმალებმა სმირნასთან 80,000 ჯარს მოუყარეს თავი. სამხედრო და სამოქალაქო წრეები სმირნის გამაგრებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგანაც იქ ოსმალთა ერთობისა და პროგრესის კომიტეტი არსებობს, მისი დაცემა კი მთელ ოსმალეთის იმპერიაზე დიდს ზნეობრივსა და ნივთიერ გავლენას მოახდენდაო.

# სხვა და სხვა ამბები.

**პეტროგრადი.** 10 აპრილი. ავტორიტეტულ წყაროდან იუწყებიან, რომ 10 აპრილს, ოლონდსგაფში მარიენგაფთან ახლოს გერმანელების წყალქვეშა ნავმა შვეციის სავაჭრო გემი ჩაძირაო.

**თეირანი.** 10 აპრილი გუშინ, ბაღდადის ვალიმ სპარსეთის ელჩს განუცხადა, რომ ოსმალეთის რაზმის უფროსს ხუსეინრეუფბეის, რომელმაც სპარსეთის საზღვარი გადალახა, კასრიშირინი დაიჭირა და შემდეგ ქერმანშახისკენ გაემართა, კონსტანტინეპოლიდან ამისათვის მას არავითარი ბრძანება არ მოსვლია და რომ იგი თავისი ნებით მოქმედობს. ვალიმ ელჩი დაარწმუნა, რომ მალე ხუსეინრაუფბეის კონსტანტინეპოლიდან ბრძანება მოუვა ოსმალეთს დაბრუნდესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრე-შუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის“, ამით აუწყებს მეაბრე-შუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიებით და წვრილათ.

სამრეწველო სავაჭრო სახლი და კანტორა ...
ტ. ლ. გასილაძე და ა. მ. პილაშვილი
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩ. ზე.

თესლი შემოწმებულია ტფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს.

# ახალი ამბავი.

დღეს, 12 აპრილს, სოფ. ახალქალის (ლეჩხუმის მაზრა) თავ. გელოვნების საგვარეულო ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვარლამ ლევანის ძის გელოვანის სულის მოსახსენებლათ.

✦ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას გამოუგზავნა წესები, თუ როგორ უნდა დაიხსნას ქალაქმა თავი გადამდები სახადისაგან.

✦ 23 აპრილს ქალაქის ბაღში კავკასიის ჯარის კაცთათვის თეთრეულების დამამზადებელი ქუთაისის ქალთა წრე გამართავს სეირნობას ლოტარია-ალეგრით. მთელი შემოსავალი გადადებული იქნება თეთრეულების დასამზადებლათ.

✦ როგორც სოფ. შემოქმედიდან (ოზურგეთის მაზრა) გვწერენ, შემოქმედის საზოგადოებას დაუდგენია ს. ჯვარში დააარსონ სახალხო თეატრი. საზოგადოებამ ამშენებელი კომიტეტი უკვე აირჩია, რომელმაც უნდა იხმაროს სათანადო ზომები ფულის შესაკრებათ. თვით საზოგადოება თეატრის ასაგებათ 2000 მან. იხდის.

✦ ომში გაწვეულ ჯარის კაცთა ბავშებისათვის უფასო სასადილოს მომწყობმა კომისიამ ცნობების შესაკრებათ სიები უკვე დაიყო. მუშაობას უბნებში დღეიდან დაიწყებენ.

✦ დღეს, 12 აპრილს, ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოების დარბაზში მოხდება ამავე საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრების მიზანია გაარჩიოს შემდეგი კითხვები: 1) დამტკიცება გასული წლის ანგარიშებისა; 2) განხილვა მდგომარე 1915 წლის საფარაუდო ხარჯთაღრიცხვისა; 3) მოხსენება გამგეობისა ოპერაციების გავრცელების შესახებ; 4) გამგეობის ერთი წევრის არჩევა; 5) ზედამხედველი კომისიის სამი წევრისა და სამი მათი კანდიდატის არჩევა და 6) სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა.

✦ როგორც შევიტყვეთ, „როსიის“ სააქციონერო საზოგადოების კანტორაში ვიღაც ვაჭარს 30 ბოჭკამდე შაბიამანი მიუტანია, რომ სხვა ქვეყანაში გააპარონ. საჭიროა საჩქაროთ ზომები მიღებული იქნეს, რომ ეს განზრახვა სისრულეში არ მოიყვანონ, თორემ ქუთაისის გუბერნია უშაბიამნოთ დარჩება.

✦ უცნაურ ამბავს გვაუწყებს „კავკასკოე სლოვო“.

„ქუთაისიდან ჩასულან ტფილისში ცოლქმარი აგიაშვილები, რომელთაც თან წაეყვანათ ახლობელი ყმაწვილი ქალი ო. კ.-შვილი, იმ განზრახვით, რომ იგი მიეყიდნათ ვისთვისმე. ეს ცნობა დაამოწმა თავ. ბეგლარ დიმიტრის ძე აგიაშვილმა 66 წლ. და მისმა მეუღლემ მ. დავითის ასულმა 45 წ. მათმა ქალიშვილმა და სხვებმა.

ო. დ. კ.—შვილის ქალი მაძებარ პოლიციის მიერ დაპატიმრებულ იქნა ქალაქ გარეთ ბაღში „ფანტაზიაში“, რომელმაც შემდეგი ილაპარაკა: მე ვწავლობდი კომერციულ სასწავლებელში. სწავლის ფულის საშოვნელათ აგიაშვილის ოჯახის ძალდატანებით იძულებული გავხდი დავნებებოდი რომელსამე შეძლებულ პირს იმ პირობით, რომ ნახევარი ფული მათთვის მიეცა.

ყველა დასახელებული პირები პოლიციამ დააპატიმრა საქმეს შესაფერი მსვლელობა მიეცა.

✦ ქუთაისის დრამატიული საზოგადოების წლიური კრება შესდგება 26 აპრილს.

✦ ხვალ, 13 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ქალაქის საბჭოს კრება, კრებაზე გასარჩევათ დანიშნულია 20 საქმე.

✦ გუშინ ქუთაისში რუსეთის ქალაქებიდან შემოვიდა სამი ვაგონი პურის ფქვილი.

✦ ბატონი სმერდინსკი, ინსპეკტორი ტფილისის სასულიერო სემინარიისა, რომელმაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს რევიზია გაუკეთა, გუშინ გაემგზავრა ტფილისს.

✦ დღეს ქალაქის თეატრში შესდგება ორი ლექცია. ნიტო შარაშიძის ქალი წაიკითხავს „ეგნატე ნინოშვილზე“, ტიტე მარგველაშვილი—მეორე პუნიკური ომი და მისი მნიშვნელობა.

**შეცდომის გასწორება**

გუშინდელი ჩვენი გაზეთის დღიურში ვითომც გუბერნატორთან შუამდგომლობა აღეძრას ქალთა სახელოსნო შკოლის მასწავლებელს ოლღა ჩერქეზიშვილისას, **უნდა იყოს** ქალთა საზოგადოების გამგეობის თავჯდომარეს ოლღა ქორქაშვილის ქალს.

## თეატრი.

დღეს, ქართულ თეატრში მეორედ მიდის ახალი პიესა „იუდას მემკვიდრე“.

—

ხუთშაბათს, 16 აპრილს, ვასო ურუშაძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „დამთხეული დედაკაცი“—3 მოქ. და ვოდევილი „ოთხი არშიყი ერთად“. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

—

ქარ. მსახ. ამხანაგობას განზრახვა აქვს ქალაქის ბაღში მოაწყოს სეირნობა, თავის ფონდის გასაძლიერებლად.

# სახალხო მასწავლებელი და ხალხი.

ბ. Adonis-ს პასუხსავით.)

როდესაც ჩვენი გაზეთები ჩამოაგდებენ ხოლმე ლაპარაკს ერთს განსაკუთრებულს შემთხვევაზე, ან და რამოდენიმე პიროვნებაზე, ყოველთვის დამნაშავედ გამოჰყავთ მთელი ჯგუფი და მსჯავრს, კერძო პირების მაგიერ, საერთოდ ყველა პროფესიით ამხანაგებს სდებენ. ამ მოვლენამ მთელი თავისი სიძლიერით თავი იჩინა მასწავლებელთა მიმართ. ისე კალამს არავინ აიღებს ხელში, რომ მთელი მასწავლებლობა დამნაშავის მანტიაში არ გახვიოს და უმისოდაც დაჩაგრულ-შევიწროებული, ღონე მიხდილი, ჭეშმარიტად ყველასაგან მიტოვებული ადამიანები უფრო არ დაამციროს. რა ქნას მასწავლებელმა? ერთი მხრით-შეუსვენებელი მუშაობა, აუტანელი უფლებრივი და მატერიალური პირობები და მეორე მხრით უმადურობა, დაცინვა, მიწასთან გასწორება, დაბალ ლობედ მიჩნევა, მისი ნაშრომის არაფრად ჩაგდება და სულშემხუთავი გაუტანლობა თვით იმათგანაც, ვისგანაც,—სამართალი, რომ ყოფილიყო,—გამხნევება, მხარის დაჭერა და მეგობრობა უნდა გვენახა.

აი, რასა სწერს ბ. Adonis-ი „შრომის“ მე-29 ნომერში: „მასწავლებლები არ იზიარებენ საერთო მწუხარებას. აკაკის განსვენებაზე მასწავლებლებმა მონაწილეობა არ მიიღეს! რამოდენი საერთო ჭირი და დაღხინება გადახდა თავს ქართველ ხალხს, მაგრამ ამ საერთო ხმაში არასოდეს წილი არ ედო ჩვენს მასწავლებლებს“-ო.

როგორც მკითხველი ხედავს, ბ. Adonis-ი მთელ ქართველ მასწავლებლობას უკიჟინებს უმოქმედობას და არ ვიცით, რატომ უვლის გვერდს ცოცხალ სინამდვილეს. რასაკვირველია, გამონაკლისი არის, მაგრამ იმისთანებიც არიან, რომელნიც შესაფერ სამსახურს უწევენ მშრომელ ხალხს.

მინამ ხალხის ცხოვრებაში მასწავლებელთა მოქმედების აღნუსხვას შეუდგებოდეთ, საჭიროა გავიხსენოთ, რა აზრის არიან გამოჩენილი მოაზროვნენი ამ საკითხის შესახებ.

პირველ საუკუნეში კვინტილიანმა სთქვა: „მასწავლებელი უნდა იყოს მეგობარი არა მარტო მოწაფისა, არამედ მისი ოჯახისაც“—მხოლოდ მაშინ უნდა ველოდეთ ნაყოფს აღზრდის საქმეში, როცა ოჯახისა და სკოლის შუა არსებობს თანხმობა. სასწავლებლისა და მოწაფეთა მშობლების შუა მიუცილებელია დაცვა მჭიდრო კავშირისა—დასძენს მეცხრამეტე საუკუნეში კარლოს შმიტი. „მასწავლებლის ვალია შეუერთოს თავისი თავი ხალხს“—ლაპარაკობს მეთვრამეტე საუკუნეში უკრაინელი სკოვოროდა.—ხალხის მასწავლებლად უნდა იყოს ხალხზე გავლენის მქონე ადამიანი—ამბობს ვოდოვოზოვი მეცხრამეტე საუკუნეში.

აი, რას ესწრაფვიან საუკეთესო პედაგოგები. აი, რა უნდა ედვას სარჩულად სწავლა-აღზრდის საქმეს და მართლაც, თუ ჩვენ გვინდა ცხოვრებას წესიერი ელემენტები დაუმზადოთ, მიუცილებლად უნდა ვიყოთ დაახლოვებული თვით ხალხთან. მარტო სკოლაში მაცადინობა, ძალიან კარგადაც რომ წარმოებდეს იგი, არ შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენი მოვალეობის შესრულებად, თუ მხედველობაში მივიღებთ არსებული ცხოვრების ვითარებას.

მართალია, ბევრი იმ აზრისა იყო, რომ ჩვენი მოქმედება სკოლის კედლებს არ უნდა გასცილებოდა, მაგრამ დრომ შესცვალა ეს შეხედულება და ისტორიას ჩააბარა იგი. დღეს ყველა მასწავლებელი ცდილობს ხალხში გამოსვლას, რაც მიუცილებელია ბავშების აღზრდა-განვითარებისთვის და მერე თვითონ ხალხის ინტერესებიც ამას მოითხოვენ, რადგანაც ხშირად სოფელში მასწავლებელი ერთად-ერთი პირია, რომელსაც შეუძლია ასე თუ ისე ნათელი თვალით უყუროს ცხოვრებას.

ეხლა ვიკითხოთ, მუშაობს თუ არა სახალხო მასწავლებელი ხალხის საკეთილდღეოთ სკოლის გარეშეც და, თუ მუშაობს, რაში გამოიხატება ის?

აღებ-მიცემობის განვითარებამ კარგა ხანია, რაც ჩვენს ქვეყანასაც დაასვა თავისი დაღი. წინათ თუ ოჯახში დამზადებული ტანსაცმელებით და საჭმელ-სასმელით კმაყოფილდებოდა ქართველობა, კაპიტალის შემოჭრამ მას სხვა მოთხოვნილებანი წამოუყენა. ერთი მხრით ძირიან ფესვიანათ შესცვალა, ძველად არსებული, გადასახადების ფორმა; ნაცვლად სანოვაგისა ყველამ ფულის თხოვა დაიწყო და მეორე მხრით—შინ გაკეთებული ჩოხა-ახალუხი და ოჯახის სამკაული უარჰყო და წინ წამოაყენა ქარხნების მიერ დამზადებული რბილი ტანისამოსი და სუფთა ავეჯეულობა. ყველამ იმის ცდა დაიწყო, რომ როგორმე მეზობელს არ ჩამორჩენოდა და რამოდენიმედ ცხოვრება გადაეხალისებია. უმალ ეს ხდებოდა მაღალ წრეებში; შემდეგ კი შემოიჭრა გლეხის ოჯახში და ეს უკანასკნელიც გამოეხმაურა მას. ამას ზედ დაერთო სურვილი გლეხების მიერ მიწის შეძენისა, რასაც ხელს უწყობდა გადაშენების გზაზე შემდგარი, ძველ მემამულეთა დაჟინებითი გამოსყიდვის მოთხოვა. ხალხი დავალიანდა. ამოძრავდენ ჩარჩები და ორ-სამხელ აძრობდენ ტყავს საბრალო სოფლელებს, რამაც დაბადა მიუცილებლობა საკრედიტო დაწესებულებათა და კოოპერატიულ სავაჭროთა დაარსებისა.

სოფლად სიცოცხლის ჟრიამული გაისმა. უმეტეს შემთხვევაში ხალხს წინ მიუძღვის თავისი მასწავლებელი და არავითარ საშუალებას არ ზოგავს საკრედიტო ბანკისა, თუ კოოპერატიულ დუქნის დაარსებისთვის. ჩაუდგა სათავეში ამ ფრიად სიმპატიურ საქმეებს და სხვა პირებთან ერთად ცოტათი შეუმსუბუქა მძიმე უღელი დაღარიბებულ მიწის მუშას.

ნიადაგის გამოფიტვამ, მცენარეთა სხვადასხვა ავათმყოფობამ და პირველყოფილი საშუალებით მუშაობის წარმოებამ გაღატაკების გზაზე დააყენა სოფელი. მოსავალი შემცირდა, ხალხი გამრავლდა, საჭირო შეიქნა მიწის მუშაობის გაუმჯობესება და მოსავლის მტრებთან ბრძოლის წარმოება. აქ, რასაკვირველია, დიდი ღვაწლი მიუძღვის მასწავლებლობას. მათ დაიწყეს ევროპიულ პლანზე ვენახების და ხეხილების კეთება, რასაც ხალხმაც წაბაძა და რამოდენიმეთ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმობის წესიერ ნიადაგზე დაყენებაში ხომ მთავარი როლი სახალხო მასწავლებლებს ეკუთვნისთ. მაგალითისთვის მოვიყვან ერთს ფრიად მნიშვნელოვან ფაქტს გურიის ცხოვრებიდან. გურიაში ისეთს ოჯახს ვერ ნახავთ, რომ წელიწადში ათი—თორმეტი თუმნის პარკი არ გაყიდოს და მერე ვინ შემოიტანა ეს და ვინ მიაჩვია ხალხი აბრეშუმის ჰიის მოვლა მოშენებას? ვინ და სოფლის მასწავლებლებმა სახელოვანი ცოლ-ქმარის — შარაშიძეების ინიციატივით.

ახლა გადავიდეთ ხალხის უფლებრივ საკითხზე. ვინ სცდილობდა ცოტათ, თუ მეტათ გაეუმჯობესებია მშრომელთა მდგომარეობა და სხვებთან ერთად სათავეში უდგა ხალხს და ხელს უწყობდა მის თვითგამორკვევას? მგონი, არც სახალხო მასწავლებლებს ეძინათ და ღირსეულადაც ასრულებდენ ნაკისრ მოვალეობას.

მოკლედ შევეხოთ, თუ რა როლს თამაშობს ხალხისადმი სულიერი საზრდოს მიწოდებაში სახალხო მასწავლებელი. ვინც მათ დაწვრილებით იცნობს და საქმე ჰქონია რომელიმე სოფელსა, ან დაბაში, იგი დამეთანხმება, რომ ყოველივე კულტურული დაწესებულების სულის ჩამდგმელი მასწავლებელია. რაც სასწავლებელია სოფლად, თითქმის მარტო მასწავლებლების თაოსნობით არის გახსნილი და კიდეც ისინი განაგებენ მას. წარმოდგენები, სახალხო კითხვები, ლიტერატურული დილები და საღამოები ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ჩვენს დაბასოფლებში და ამ დარგში ხომ უმეტეს ნაწილად მასწავლებლები მუშაობენ.

რაც შეეხება ჩვენი ეროვნული სიამაყის, დიდებული მგოსნის აკაკის დასაფლავების საკითხს, სახალხო მასწავლებლები სხვებს არც აქ ჩამორჩნიან უკან. ყოველი მხრიდან სამგლოვიარო წერილები და დეპეშები იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთებში, სადაც მასწავლებლებიც მონაწილეობდენ; ბევრგან გადიხადეს პანაშვიდები, მოკლედ გააცნეს ხალხს, თუ ვინ იყო აკაკი, და გურიის მასწავლებლებმა დასაფლავებაზე დასასწრებად გაგზავნეს ტფილისს თავიანთი წარმომადგენელი ბ. ივანე კალანდაძე, ახლა კი ენერგიულად აგროვებენ ფულს, ზეპირ-სიტყვიერების ფონდის გასაძლიერებლად, თანახმად განსვენებულის სურვილისა.

როგორც ზევით ნათქვამიდან სჩანს, სახალხო მასწავლებლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვისთ ხალხის სასარგებლო საქმეთა გაკეთებაში და ახლა, ვინც თვალს ადევნებს მათს ცხოვრებას, დარწმუნდება, რომ სულ მალე ისინიც შეუდგებიან სოლიდარულ მუშაობას და მაშინ მეტსაც გააკეთებენ. ეს საკითხი დიდი ხანია, რაც წამოყენებულია და მისი საბოლოოდ გადაჭრა ახლო მომავალში მოხდება.

ასე ამ რიგად ბ. Adonis-ის წერილის მუხლები, რომელიც ზევით ხაზ-გასმით მოვიხსენიეთ და საერთოდ მთელს ქართველ მასწავლებლობას შეეხება, სიყალბეზე აგებულათ უნდა ჩაითვალოს და იმედია, აწ მაინც ჩვენი პრესა ანგარიშგასაწევ ხალხად გვიცნობს, დღემდე აბუჩად აგდებულს, მასწავლებლებს და ჩვენს შესახებს უფრო სამართლიანად იმოქმედებს, მინამ აქამდე შვრებოდა. ამას მოითხოვს სიმართლე და პრესის დანიშნულება ხომ სწორი გზით სიარული უნდა იყვეს. [1])

**ნიკ. ქამუშაძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**(საზოგადოების საყურადღებოთ).**

წრევანდელი განსაკუთრებული პირობების გამო, ჩვენ,—სოფელ გუბის მცხოვრებნი, რომელნიც ჩვეულებრივ 23-ს აპრილს ვიხდიდით დღესასწაულს **გიორგობას,**—აღარ ვიხდით. ვაცხადებთ რა ამას ჩვენი ნაცნობ-ნათესავ-მოყვრების საყურადღებოთ,—ვთხოვთ ნუღარ მობრძანდებიან ხსენებულ დღესასწაულზე.

მოწიწებით **ვლ. მოსეშვილი.**

P. S. ვსთხოვთ „თანამედროვე აზრის“ და „სახალხო ფურცლის“ რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

[1]) სავსებით ვეთანხმებით ბ-ნ ქამუშაძეს, რომ სოფლის მასწავლებელს დიდი მოვალეობაც აწევს და ბევრის გაკეთებაც შეუძლია. მაგრამ საერთო უკუღმართ პირობებისა გამო, დღევანდლამდე მაინც, სოფლის მასწავლებლებად ინიშნებოდენ ყოვლად მოუმზადებელნი, და სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობას არც კი ესმოდა თავისი დანიშნულება. შარაშიძეები და ისიდორე რამიშვილები, რომელთაც გაანათლეს გურია, გადაჭრით ვიტყვით ერთეულები, გამონაკლისები არიან. მათ თანამდებობის გარდა განგებამ მიანიჭა გული, გონება და სიყვარული ხალხისა, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. საშუალო ტიპის სოფლის მასწავლებელი კი ყველასათვის კარგად ცნობილია და, უნდა დაგვეთანხმოს ბ-ნი ქამუშაძე, რომ ეს „საშუალო ტიპის“ მასწავლებელი ვიდრე სოფლის მოსამსახურე. ასეთებივე არიან უმრავლესობა მღვდლებისა და სოფლის სხვა მოხელეებისა.

ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ სოფლის მასწავლებელთა შორის ბევრია ხალხისათვის თავდადებული, მაგრამ უ ბ ე ვ რ ე ს ი კი...

ღმერთმა ინებოს, რომ ყველა შარაშიძე—რამიშვილი — ქამუშაძეები ყოფილიყოს, მაგრამ ვიდრე ეს ასე არ არის (გურიის გარდა გადაავლეთ თვალი იმერეთს, ქართლს, კახეთს, ფშავხევსურეთს და სხვა კუთხეებს დასავლეთ, თუ აღმოსავლეთ საქართველოისას) ჩვენა გვგონია პრესას სრული უფლება აქვს ამხილოს იგინი, თუმცა, რასაკვირველია, გადაჭარბებული არაფერი არა...

**რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Целебные минеральные источники“—ფ. 20 კ.

ახვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

ხუსუსით ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.